



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492236016

თარიღი:26/12/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 167

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482234173, 07/12/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 29.08.34.018) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7094 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილის- 3673.23 კვ.მ.ფართზე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 42 000 ლარის ოდენობით. წერილს თან ახლდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვრულია 42 000 ლარით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 29.08.34.018) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7094 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილის- 3673.23 კვ.მ.ფართზე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 42 000 ლარის ოდენობით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

